გორეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(298) 2023 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 1 ლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადაეცათ

ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, დაჯილდოების ცერემონიალს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი*** *მოადგილესთან* **გიორგი ლალიაშვილთან,** *საკრებულოს თავმჯდომარე* **ალექსი გილაშვილთან,** *საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან* **ლელა ფანოზიშვილთან** *მაჟორიტარის ბიუროს უფროსთან* **გია თათრიშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო, რომლებმაც კუთვნილი კომპიუტერები წარჩინებულ მოსწავლეებს პირადად გადასცეს.

პროგრამა სახელწოდებით – „ჩემი პირველი კომპიუტერი“, ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, რომლის ერთ-ერთი ქვეპროგრამაა საქართველოს საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლეების პორტაბელური კომპიუტერებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან მოსწავლეები, რომლებიც მიმდინარე წელს ასრულებენ საბაზისო საფეხურს და საფეხურის ნიშანი აქვთ 10 (ათი) ქულა დამრგვალების გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 26 ოქტომბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 59 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა კომპიუტერი.

ღონისძიება მუსიკალურად ჯემალ ბურჯანაძის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა ლია ბურჯანაძემ, პედაგოგმა, თეა ხატიაშვილმა და ანსამბლმა „კამერტონმა“ გააფორმა.

17 ოქტომბერი ვეტერანის დღეა!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ვეტერანის დღე აღინიშნა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ თაიგულებით შეამკო ქალაქ საგარეჯოში საქართველოს მთლიანობისათვის თავშეწირულთა სახელების უკვდავსაყოფად მოწყობილი მემორიალური დაფა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

27 ოქტომბერი 2023 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ***ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ალექსი გილაშვილი** უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ ***დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გილაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში“*** მოხსენება გააკეთა **ალექსი გილაშვილმა.**

დღის წესრიგის ***მეორე*** საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში“,*** მოხსენება გააკეთა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

27 ოქტომბერი 2023 წელი

<u>გაგრძელება</u>

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გილაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ოქტომბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის“ მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ერთ-ერთი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ ამომრჩეველს წარვუდგინო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 39 წევრისგან, 13 მაჟორიტარი; 26 პროპორციული წესით არჩეული წევრისგან. დღეისათვის საკრებულოში შექმნილია 2 ფრაქცია და 5 მუდმივმოქმედი კომისია.

საკრებულოს თანამდებობის პირები

1.საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსი გილაშვილი;**

2. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - **ლელა მარიდაშვილი;**

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **ვეფხია ჩერძეზიშვილი;**

4. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- **ალექსი იოსელიანი;**

5. საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - **ელენე სამხთუაშვილი;**

6. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **ვანო ანუაშვილი;**

7. საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **არჩილ ნემსიაშვილი;**

8. საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე- **ვეფხია უსტიაშვილი;**

9. **ლევან როსტიაშვილი** - საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

10. საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - **ივანე ბეჟიაშვილი;**

11. საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - **გივი ბედიაშვილი;**

12. საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - **სოსო ჭიკაძე;**

13. საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე-**გიორგი თათრიშვილი;**

14. საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - **დავით არაბული;**

15. საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე **-ნიკა ნაცვლიშვილი;**

16. იქრამ ბაირამოვი-საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე- **ვალერიან ხუნაშვილი;**

17. საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარე +- **გარსევან ბუხნიკაშვილი;**

18. საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის მოადგილე-**შალვა ჯაბადარი ;**

19. საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის მოადგილე **-ლელა ძვრივიშვილი;**

20. საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის მოადგილე **გია ბუჩაშვილი**

საკრებულოს ბიურო შედგება 11 წევრისაგან. საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებასახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საკრებულოში შექმნილია ორი ფრაქცია:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული კვარტალური გეგმების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარეები რეგულარულად ხვდებიან მოქალაქეებს და ეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან:

1. საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილება.

2. მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილება.

საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 17 პროფესიული საჯარო მოსამსახურე და 8 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

საკრებულოს სხდომების სტატისტიკა:

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში ჩატარებულია:

1. საკრებულოს ბიუროს 15 სხდომა

2. საკრებულოს 15 სხდომა აქედან:

12 მორიგი, 3 რიგგარეშე.

3. მიღებულია 85 ბრძანება,

18 დადგენილება, 44 განკარგულება

წარმოგიდგენთ კომისიის სხდომების სტატისტიკას:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია - ჩატარებულია 7 სხდომა, განხილულია 18 საკითხი.

2. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - ჩატარებულია 9 სხდომა, განხილულია 11საკითხი.

3. საფინანსო -საბიუჯეტო კომისია - ჩატარებულია 12 სხდომა, განხილულია 35

4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია- ჩატარებულია 8 სხდომა, განხილულია 16 საკითხი.

5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - ჩატარებულია 9 სხდომა, განხილულია 16 საკითხი.

საკრებულომ მერის ინიციატივით შეითანხმა მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის 17 დადგენილებაში დღეის მდგომარეობით შესულია 5 ცვლილება.

პირველი ცვლილება:

დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის №27, №45, №147, №168, №330,№1167, №1419, №1573, №2630, №2685, №2752, №557-2020,№1266, №2502, №277, №604, №75 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთის განაწილებით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით გამოყოფილი თანხის დამატებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში

საფინანსო-საბიუჯეტოს ხაზით:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 65 411 083 ლარს, დამტკიცებულ ბიუჯეტთან 26 827 900 ლართან შედარებით გაზრდილია 38 583 183 ლარით ანუ 144 %-ით, ხოლო 2022 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან 60 183 638 ლართან შედარებით 5 227 445 ლარით ანუ 9 %-ით.

ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა 8 848 787 ლარი, მათ შორის.: 1) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6 571 860 ლარი, 2) „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 668 000 ლარი, 3) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 574 659 ლარი, 3) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 370 000 ლარი, 4) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 664 268 ლარი; საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე დაემატა 8 159 069 ლარი, მათ შორის: 1) საკასო შემოსავლების მიხედვით არაფინანსური აქტივების კლების მუხლი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან შემოსული 7 263 169 ლარი, 2) საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში კაპიტალური გრანტი 570 000 ლარი, 3) მუნიციპალიტეტისთვის 2023 წელს მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დამატებული ღირებულების გადასახადიდან 325 900 ლარი, წინა წლის ნაშთიდან განაწილდა 21 575 327 ლარი.

მიმდინარე წლის 18 ოქტომბრისთვის ბიუჯეტის შემოსულობები სულ 36 385 204 ლარია, მათ შორის შემოვიდა: 1) გადასახდები 19 042 854 ლარი, აქედან ქონების გადასახადი 3 474 908 ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადი 15 567 946 ლარი; 2) გრანტების სახით მიღებულია 6 296 892 ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 338 000 ლარი, კაპიტალური ტრანსფერი 5 958 892 ლარი; 3) სხვა შემოსავლები შემოსულია 3 266 454 ლარი; 4) არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 7 779 004 ლარი. ბიუჯეტის გადსახდელები სულ 34 223 419 ლარია, მათ შორის დაფინანსებულია მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 4 355 317 ლარით; ინფრასტრუქტურის განვითარება 16 216 671 ლარით; დასუფთავება და გარემოს დაცვა 3 195 219 ლარით; განათლება 4 279 408 ლარით; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 4 385 252 ლარით; ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1 791 552 ლარით; სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 130 398 ლარი.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის მშენებლობისა და არქიტექტურის ხაზით

2023 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 28 759 000 ლარი. დაიგეგმა წყალმომარაგების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის, გარე განათების, სპორტული მოედნების, დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობის და სხვა პრიორიტეტული პროექტების განხორციელება. ამჟამად, დაკონტრაქტებულია - 45 ხელშეკრულება 14 773 431 ლარის ღირებულებით. დასრულებულია 23 სამშენებლო პროექტი, მიმდინარეა - 22. ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე გამოცხადებულია/მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცესშია 8 პროექტი ღირებულებით - 2 902 782 ლარი. საკასო შერულება შეადგენს 7 857 331 ლარს (54%).

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის 2023 წელს ჯამში გამოიყო 7 458 992 ლარი. დაფინანსდა 16 სამშენებლო პროექტი. ამჟამად, დაკონტრაქტებულია 14 პროექტი, 4 არის დასრულებული, 10 სამშენებლო ობიექტი მიმდინარეობის პროცესშია და წლის ბოლოდე დასრულდება. 2 პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი. საკასო შესრულება თანადაფინანსების გათვალისწინებით 2023 წლის ვალდებულებიდან შეადგენს - 3 313 120 ლარს (44%).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება პროექტები „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. მოსახლეობასთან ჩატარებული საერთო კრებების შედეგების გათვალისწინებით, გამოვლინდა პრიორიტეტები და დაიგეგმა შერჩეული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 668 000 ლარი ხოლო, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებამ შეადგინა - 1 336 000 ლარი. დაკონტრაქტდა 47 სამშენებლო პროექტი, მათი ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს - 1 931 486 ლარს. მათგან, 23 დასრულებულია და 24 – მიმდინარე. საკასო შესრულება შეადგენს 1 224 355 ლარს (63%).

2023 წლის მთის ფონდის ფარგლებში დაკონტრაქტებული პროექტების სრული ღირებულება თანადაფინანსების გათვალისწინებით შეადგენს 699 574 ლარს. ***დაიგეგმა მუნიციპალიტეტის 3 მაღალმთიან სოფელში სპორტული მოედნებისა და წყალმომარაგების 4 პროექტის განხორციელება.*** ამ ეტაპზე, დასრულებულია სამი სამშენებლო პროექტი და მიმდინარეობის პროცესშია ერთი. საკასო შესრულება შეადგენს 340 515 ლარს (48%).

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განყოფილებას კონტრაქტორი კომპანიები მუდმივად მოგვმართავდნენ სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში საზედამხედველო და საპროექტო ორგანიზაციებთან შუამდგომლობისათვის. რაც გულისხმობს, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, რომლებიც განიხილებოდა გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და განყოფილების სპეციალისტების მიერ და საპროექტო დოკუმენტაციაში შესატანი კორექტირების შესათანხმებლად იგზავნებოდა საპროექტო ორგანიზაციებთან. ასევე, საზედამხედველო ორგანიზაციაში ეტაპობრივად ვაგზავნიდით შერულებული სამუშოების დამადასტურებელ დოკუმენტაციას (ფორმა 2, ფარული სამუშაოების აქტები, სერთიფიკატები და სხვ.) განსახილველად, საექსპერტო დასკვნის წარმოსადგენად და ჩვენი მხრიდან ანგარიშწორების მოსახდენად.

ჯანდაცვისა და სოციალური ხაზით

1. პირველი და მეორე ახალდაბადებულ ბავშვიან სოციალურად დაუცველ 15 ოჯახებზე გაიცა ფულადი დახმარება, ოჯახზე 300 ლარის ოდენობით, სულ გაიხარჯა 6000 ლარი.

2. მრავალშვილიან 148 ოჯახზე გაიცა ერთჯერადი დახმარება საერთო რაოდენობით 64000 ლარი;

3. ბავშვთა კვების პროგრამის ფარგლებში 78 ბავშვზე გაიცა კვების თანხა ბავშვზე 100 ლარი, სულ გაიხარჯა 2131 ლარი;

4. უდედმამო და დედით ან მამით ობოლი ბავშვების დახმარების პროგრამის ფარგლებში 28 ოჯახზე გაიცა დახმარება 8400 ლარი;

5. 18 წლამდე შშმ ბავშვთა დახმარების პროგრამით 88 ბავშვზე გაიცა ყოველთვიური დახმარება ბავშვზე 50 ლარი, სულ გაიხარჯა 39350 ლარი;

6. შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა დახმარების პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაციის თანხა დაუფინანსდა 9 პირს, სულ 6290 ლარის ოდენობით.

შშმ 30 უსინათლო პირზე გაიცა ყოველთვიური დახმარება 23800 ლარის ოდენობით.

7. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების დახმარების პროგრამის ფარგლებში 11 პირს გაეწია 300 ლარიანი ერთჯერადი დახმარება, რამაც შეადგინა 3300 ლარი;

8. სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„ინფრასტრუქტურა-2023“

წყალმომარაგების მრავალწლიანი პრობლემა გადაჭრილია

სოფელი ვერხვიანი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად, სოფელ ვერხვიანის მოსახლეობას შეხვდა და უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით განხორციელებული პროექტის დასრულება მიულოცა.

ადგილობრივებმა თვითმმართველობის პირველ პირებს მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ეს არის უპრეცედენტო და ისტორიული ფაქტი, როცა სოფელს ათეულობით წლის პრობლემა მოუგვარდა და ონკანებში წყალმომარაგება აღდგა.

პროექტი ითვალისწინებდა წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენისა და ქსელის მოწყობას და სატუმბი სადგურის მშენებლობა-აღჭურვას, მისი საერთო ღირებულება 569 980 ლარს შეადგენს და დაფინანსების წყარო ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტია.

გზის მოწესრიგება

სოფელი ბადიაური

20 ოქტომბერს სოფელ ბადიაურში ე.წ. „კაკლების უბნის“ საავტომობილო გზის მოასფალტება დაიწყო. აღნიშნული პროექტის სრული ღირებულებაა 1.021634 ლარია საიდანაც 970552 ლარი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება, ხოლო 51082 ლარი კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდანაა გამოყოფილი. პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადა 2023 წელია.

სოფელი უდაბნო

სოფელ უდაბნოში, ახალი-მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა დასკვნით ფაზაშია.

სამშენებლო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარებს და მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, სპორტული სივრცეების მოწყობას სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გეგმავს.

ქუჩების კეთილმოწყობა

ქალაქი საგარეჯო

ქალაქ საგარეჯოს ჯაფარიძის ქუჩის მიმდებარე ჩიხებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი დაიწყო

პიდევ ერთი ისტორიული პროექტი შეემატება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა, პირველ მოადგილესთან ემზარი კუჭუაშვილთან ერთად ჯაფარიძის ქუჩის ჩიხების მოასფალტებისთვის წინა მოსამზადებელი სამუშაოები ადგილზე მოინახულა, ადგილობრივებს და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა, მოსაზრებები მოისმინა და სამუშაოებთან დაკავშირებული რეკომენდაციები გააცნო.

„ეს არის ისტორიული ფაქტი, ადგილობრივი მოსახლეობა წლებია ელოდა ამ პროექტის განხორციელებას, წელს, გადავწყვიტეთ, რომ პრიორიტეტად დაგვესახა ეს ქუჩა. თავისი მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე, ეს გახლავთ სათავესთან მისასვლელი გზის დამაკავშირებელი ცენტრალური ქუჩა, სადაც მჭიდრო დასახლებაა და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტია განთავსებული. აღნიშნული პროექტი სრულად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მისი ჯამური ღირებულება 2 373 854 ლარს შეადგენს.

მოგეხსენებათ, რომ გასულ წელს, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, სათავის მიმდებარე ტერიტორიებზე ცივ-გომბორის აღკვეთილში განხორციელდა ვიზიტორთა ცენტრის, ტურისტული ბილიკებისა და საპიკნიკე სივრცის მოწყობა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში ასევე დაიგო რეკრეაციულ სივრცესთან მისასვლელი გზის მონაკვეთი.

განხორციელებული გზის მოასფალტების სამუშაოები - კი ერთგვარი გაგრძელება იქნება დაწყებული პროექტის, რაც საბოლოოდ შექმნის ტურისტულ მარშრუტს და იქნება ვიზიტორთათვის ერთ-ერთი სასურველი და შთამბეჭდავი ლოკაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. ჩვენი მიზანია, რომ ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში დადებითობისკენ შეცვლის საერთო ეკონომიკურ ფონს. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა მოვაწესრიგოთ ტურისტული ინფრასტრუქტურა, რათა ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი ღირსშესანიშნაობები.

მე მოხარული ვარ და ვამაყობ, რომ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში. ჯაფარიძის ქუჩა შეემატება ამ პროექტებს, როგორც ერთ-ერთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტი“- ***აღნიშნა*** **ავთანდილ გულიკაშვილმა**

სოფელი თოხლიაური

სოფელ თოხლიაურში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 255 551 ლარით ფინანსდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ მშენებელი“ ახორციელებს და ხელშეკრულების პირობების თანახმად, მისი დასრულების ვადა 2024 წლის იანვარია.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სამუშაოების პროცესს ადგილზე გაეცნენ და ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები მოისმინეს.



ქეთი გრატიაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

გარეჯის მაცნე
№20(298) 2023 წელი, 16-31 ოქტომბერი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ტურიზმის განვითარებისთვის მოლოდინები დიდია

***საგარეჯოს** მუნიციპალიტეტი ტურიზმის მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი და უკვე საყოველთაოდ ცნობილი მუნიციპალიტეტია, რომელსაც დიდი პოტენციალიც გააჩნია ამ დარგის და მისი თანმდევი, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი კუთხის მცხოვრებთა კეთილდღეობის შემდგომი განვითარება-გაუმჯობესების კუთხით. ამ არეალში მოქცეულია და აღრიცხული მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და წარსულის მქონე 80-მდე მატერიალური თუ არამატერიალური კულტურის ძეგლი, რომელთაც თავის დროზე დიდი და გადამწყვეტი წვლილი შეჰქონდათ ჩვენი ქვეყნის მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე, კარგ სამიზნეს წარმოადგენენ ტურიზმით დაინტერესებული ქართველი თუ არაქართველი ვიზიტორებისათვის. თავის მხრივ, ტურისტების ნაკადისა და ვიზიტორთა რიცხოვნობის ზრდა თავისთავად ხელს შეუწყობს ადგილებზე მცირე ბიზნესის წამოწყებასა და მოსახლეობის დასაქმებას, საბოლოო ჯამში კი მათ მიერ დამატებითი შემოსავლების მიღებას. ამის გათვალისწინებით, ამ ბოლო ათწლეულში მუნიციპალიტეტში უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები და ახლაც ბევრი რამ კეთდება ტურიზმის პოპულარიზაციისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, მათ შორის ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ოფიციალურ დონეზე. სწორედ ამ უკანასკნელ სიახლეებში გასარკვევად ვეწვიეთ და ვესაუბრეთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსს, ამ საქმისთვის მუდამ შემართულ და მებრძოლ პიროვნებას **ქეთევან ბრატიაშვილს**, რომელმაც მუდმივი მოუცლელობის მიუხედავად, მაინც გამონახა დრო ჩვენთან ამ სიახლეებზე სასაუბროდ.*

– მუნიციპალიტეტის მასშტაბით მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების პოპულარიზაციისა და ტურისტებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიმდინარე წელს და აქამდეც, – ***გვითხრა მან,*** – არა ერთი მასშტაბური ღონისძიება გატარდა და მომავალშიც გატარდება. რა თქმა უნდა, ერთბაშად ვერ მოხერხდება 80-მდე ძეგლის რეაბილიტაცია და პოპულარიზაცია; თუმცა, ჩვენი განყოფილება ეტაპობრივად ახერხებს, რომ ტურისტებისათვის მეტად ხელმისაწვდომი გახადოს ესა თუ ის ლოკაცია.

დავით გარეჯა – ადრე, კომუნისტებისა და ჩვენს დროშიც, თავისი მნიშვნელობით მუდამ იყო ტურისტების მიზიდულობის მთავარი ცენტრი. ამას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მიმდინარე წელს იქ თანამედროვე, კეთილმოწყობილი საავტომობილო გზატკეცილის მოწყობა...

აქსიომაა, წლების განმავლობაში დავით გარეჯა საგარეჯოსათვის „სავიზიტო ბარათად“ იქცა და მის პოპულარიზაციას უფრო გაზრდის როგორც ეს გზა, ისე ჩვენს მიერ შექმნილი ვიდეო რგოლი, სადაც მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური კომპონენტებია გამოყენებული, რათა კიდევ ერთხელ ცხადვყოთ, რომ საგარეჯო ტურიზმის მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტია და საკმაოდ დიდი პოტენციალიც გააჩნია.

ასეთივეა პატარძეულის „გმირთა სავანე“, – ადგილი, რომელსაც მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ნებისმიერ გამვლელი მგზავრი იხილავს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს გმირთა სავანეს სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია უტარდება. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ეს სამუშაოები და წლის ბოლოს ჩვენ გვექნება იერ-სახე შეცვლილი პატარძეულის შესასვლელი, რომელიც გამორჩეული იქნება თავისი მრავალფუნქციურობითა და სილამაზით.

– ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს ადგილი ხომ კახეთში შესასვლელ ერთგვარ კარიბჭეს წარმოადგენს და პირველი არ ვიქნები, ვინც ამბობს, რომ აქედანაც ეყრება საფუძველი ტურისტების წარმოდგენებს კახეთზე. ჩვენმა გაზეთმა არაერთხელ დაწერა ახალი, ცივგომბორის აღკვეთილის შექმნისა და მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალსა და ამ აღკვეთილში ეკოტურიზმის განვითარების კუთხით ამ ბოლო ორიოდე წლის მანძილზე განხორციელებულ პროექტებზე. ამიტომ მინდა შეგეკითხოთ, რა შედეგები მოიტანა ტურიზმის განვითარების კუთხით აპრილ-მაისში იტალიაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტისა და იტალიის დელეგაციების საპასუხო ვიზიტებმა?

– მაისში, იტალიის დელეგაციის წევრებმა ოფიციალური შეხვედრების გარდა, მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები მოინახულეს. მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა სტუმრებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები გააცნო და სალენტოს უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, აღნიშნული ძეგლების ციფრული პლატფორმის შექმნაზე იმსჯელეს, რაც აქტუალური თემაა და მომავალ წელს უკვე დაიწყება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

– ეს მართლაც ქმედითი და ქვეყნის, ჩვენი ხალხის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯები იქნება, რომლებიც კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს საქართველოს ცნობადობისა და ხალხის მატერიალური შესაძლებლობების ამაღლების საქმეს, ამას გარდა, როგორც შევიტყვეთ, წლის ბოლომდე ამ კუთხით კიდევ იგეგმება სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც...

– დიახ, სიახლეები სამომავლოდ ბევრი გვაქვს. იგეგმება ახალი ვიზიტები საერთაშორისო დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ახალი პარტნიორების მოზიდვასა და ევროპული ქალაქების გამოცდილებების გაზიარებას. ***ნოემბერში ოფიციალური ვიზიტით მიწვეული ვართ გერმანიაში, საგარეჯო, როგორც ევროპის ფესტივალების პლატფორმის წევრი ქალაქი.*** მოლოდინები ბევრია და იგეგმება ახალი დელეგაციების მოწვევა 2024 წელს. ერთი სიტყვით, ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად, ხელი შეეწყობა საგარეჯოში როგორც ტურიზმის შემდგომი განვითარების საქმეს, ისე შევძლებთ და ადგილობრივ დონეზე გავაუმჯობესებთ სამეწარმეო საქმიანობასა და მასში ჩართულობას. ასევე, ვცდილობთ და სხვადასხვა აქტივობებისა და ფესტივალების მეშვეობით ვეცდებით კიდევ უფრო მეტი პირობები შევქმნათ ამ დარგისა და მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის.

– დიდი მადლობა ამ სიახლეებისათვის, წარმატებებს გისურვებთ!

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

კულტურა

ლიტერატურული საღამო

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზმა 18 ოქტომბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმ პატარა ნაწილს უმასპინძლა, ვინც ამ დარბაზში საგარეჯოს და საქართველოს მოსახლეობის საწუხარ და ყოველდღიური ნატვრა – აფხაზეთს დაუბრუნდეს ქართველი ხალხი, ერთობლივად გამოხატა. საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ საგარეჯოს №1, №2, №3, ნინოწმინდისა და პატარა ჩაილურის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო ისტორია აფხაზეთისა. დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს იქ არსებული ეკლესია-მონასტრები, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, ისაუბრეს აფხაზეთში გავრცელებულ ქართულ ტრადიციებზე, ცრემლმორეულებმა გაიხსენეს აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი ბიჭები და წამებით დახოცილი უდანაშაულო მოსახლეობა. აქ, ამ დღეს არც საგარეჯოს რაიონიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში ზვარაკად შეწირული ბიჭები დაივიწყეს. აი, ისინიც:

1. გომბორელი – სულხანიშვილი ბაქარ ვალერიანის ძე, დაიღუპა აფხაზეთში;
2. საგარეჯოელი – ჩოკოშვილი სოსო ბიჭიკოს ძე – აფხაზეთი;
3. საგარეჯოელი – ჩობალაური დავით ნიკოლოზის ძე – აფხაზეთი;
4. კაკაბელი – მჭედლიშვილი ბადრი ვასილის ძე – აფხაზეთი;
5. საგარეჯოელი – ჭიკარტაძე რამაზი თემურის ძე – აფხაზეთი, სოფელი ტამიში;
6. გომბორელი – ჭინჭარაული მიხეილ (ძელო) გაგას ძე – აფხაზეთი, სოხუმი;
7. ჩაილურელი – ფეიქრიშვილი ზურაბ ომარის ძე – აფხაზეთი;
8. ბადიაურელი – ხატისაშვილი მამუკა რასულის ძე – აფხაზეთი;
9. საგარეჯოელი – შაქარაშვილი გელა ნუგზარის ძე – აფხაზეთი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცი;
10. მანაველი – გიქორაშვილი კახა ლევანის ძე – აფხაზეთი
11. მანაველი – ქიტიაშვილი ვაჟა რობერტის ძე – აფხაზეთი, დაიკარგა უგზო-უკვლოდ;
12. საგარეჯო – თედიაშვილი ვახტანგი ლევანის ძე, აფხაზეთი, სოხუმი.

საღამო დაამშვენეს საგარეჯოს ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლ „პატარა გარეჯელების“ (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი), სტუდია „მირელას“ (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი) მომღერლებმა, სატელევიზიო პროექტ „რანინას“ მონაწილემ ნინი ორკოშნელმა.

საღამოზე მოწვეული იყვნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები აფხაზეთიდან ლტოლვილები, – იძულებით გადაადგილებული ადამიანები.

თითოეულ გამოსვლაში ის ტკივილი და მონატრება იგრძნობოდა, რაც საქართველოს მოქალაქეებს, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს გულში აქვთ – მონატრება აფხაზეთის და გმირულად საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის თავგანწირული ადამიანების სახელების უკვდავყოფა.

როგორც ლიტერატურული საღამოს გახსნისას და საღამოს დამთავრებისას აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა თქვა:

– გაისად, მომავალ წელს უფრო მასშტაბურად აღინიშნება საქართველოსათვის ყველაზე ტრაგიკული დღე – 27 სექტემბერი – აფხაზეთის ოკუპაციის დღე. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებული ადამიანების სახელები, აფხაზეთიდან დროებით, იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს კიდევ მეტად განვუმტკიცოთ რწმენა, – აფხაზეთი, ჩვენი მიწა-წყალი მალე დაუბრუნდება თავის სამშობლოს – საქართველოს და ქართველები კვლავ თავიანთ ფუძე-კერაზე დაბრუნდებიან.

ის, რომ აფხაზეთი კვლავ საქართველოს დაუბრუნდება, ამის რწმენას კი გვაძლევს აფხაზეთში, ჟიული შარტავას გმირობის შემსწრე უცნობი აფხაზის წერილი მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი მიწერილი: ***თუ საქართველოს თუნდაც ერთი ადამიანს ჰყავს ასეთი, ამ ქვეყანას გადაშენება არ უწერია...***

და აქვე დავესესხოთ საგარეჯოელ შემოქმედს, მწერალსა და პოეტს ვანიკო ჯაფარიძეს:

„დრო უდიდესი ქვეყნის მსაჯული.
იმპერიათა ბედ-იღბალს არკვევს,
და ურთულესი ჭადრაკის დაფით,
ყველას თავ-თავის უჯრაზე წასწევს!..“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

27 ოქტომბერი 2023 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გილაშვილის 2023 წლიური ანგარიში:

<u>გაგრძელება</u>

6132611 ლარით, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზარდა 8762046 ლარით (ნაშთი 2629434,88 ლარი) და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე 18945892,07 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 27707938 ლარით და შეადგინა 54535838 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 5464611 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 668 ათასი ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 2759536 ლარი, კერძოდ,

ა) ს.**ძაკაბეთში** სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება - 770965 ლარი; (თანადაფინანსება 40578 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

ბ) ქ.**საგარეჯოში** გიორგი ბრწყინვალეს პირველი შესახვევის რეაბილიტაცია - 430874 ლარი (თანადაფინანსება 22678 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

გ) ქ. საგარეჯოში არაყიშვილის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია - 212672 ლარი (თანადაფინანსება 11194 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

დ) ქ.**საგარეჯოში** ერეკლე II-ის ქუჩის გაგრძელების რეაბილიტაცია -284985 ლარი (თანადაფინანსება 15000 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

ე) ქ. **საგარეჯოში** თამარ მეფის ქუჩის გაგრძელების რეაბილიტაცია - 477064 ლარი (თანადაფინანსება 25109 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

ვ) ქ. **საგარეჯოში** ქართველ იუნკერთა ქუჩის რეაბილიტაცია - 582976 ლარი (თანადაფინანსება 30683 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

2) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამას დაემატა 2382574 ლარი,

კერძოდ,

ა) ქ.საგარეჯოში კოსტავას ქ. №12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 405413 ლარი, (თანადაფინანსება 21338 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

ბ) ქ.საგარეჯოში კოსტავას ქ. №14 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 156637 ლარი, (თანადაფინანსება 8245 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

გ) ქ.საგარეჯოში კოსტავას ქ. №16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 516968 ლარი, (თანადაფინანსება 27209 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

დ) ქ.საგარეჯოში კოსტავას ქ. №17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 270032 ლარი, (თანადაფინანსება 14213 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

ე) ქ.საგარეჯოში კოსტავას ქ. №18 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 542647 ლარი, (თანადაფინანსება 28561 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

ვ) ქ.საგარეჯოში კოსტავას ქ. №20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 490877 ლარი, (თანადაფინანსება 25836 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

3) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 322501 ლარი, კერძოდ დაფინანსდა

სოფელ გიორგიწმინდაში გუგუტიაანთ უბანში სკვერის მოწყობის სამუშაოები (მრავალწლიანი), თანადაფინანსება 100000 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 668 ათასი ლარი.

2023წლის 1 იანვრისთვის ნაშთი (წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები) შეადგენს 21577540,25 ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით - 2629434,88 ლარს, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 18948105,37 ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ბიუჯეტში მიღებულია 4668476,96 ლარით მეტი შემოსულობები 2022 წლის შემოსულობების გეგმასთან შედარებით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №27 განკარგულებით 2020 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 78764,2 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებიდან 2020 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 56612.74 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვარს №45 განკარგულებით 2019 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 904,1 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით 2019 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 1,23 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერს №2752 განკარგულებიდან 2020 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 1567,33 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის №557-2020 განკარგულებიდან ნაშთი შეადგენს 789,82 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 ივლისის №1167 განკარგულებიდან ნაშთი შეადგენს 487,73 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 დეკემბრის №2502 განკარგულებიდან ნაშთი შეადგენს 3683 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 08 აგვისტოს №1573 განკარგულებით 2020 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 8064,79 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ოქტომბრის №2159 განკარგულებიდან ნაშთი შეადგენს 0,39 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 05 თებერვლის №168 განკარგულებით 2021 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 668 ათასი ლარიდან ნაშთი შეადგენს 32613,03 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის №147 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი შეადგენს 8301.6 ლარს - საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერიდან.

<u>დასასრული შემდეგ ნომერში</u>

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

<u>გაგრძელება</u>

სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, შშმპ-ს ვეტერანის, დევნილის, ასაკით პენსიონერი და ონკოლოგიური დაავადების მქონე 898 პირს გაეწია სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება სულ 474 194 ლარის ოდენობით;

9. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის ფარგლებში 600 პირს დაუფინანსდა მედიკამენტების შეძენისთანხა, სულ 182 269 ლარის ოდენობით;

10. სამედიცინო დამხმარე საშუალებების შეძენის პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 21 პირმა, რაზედაც გაიხარჯა 3669.03 ლარი; დიაბეტით დაავადებული ბავშვებისთვის გლუკომეტრის ჩხირების დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 18 ბავშვმა გაიხარჯა 2145 ლარი.

11. ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ პირთა ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 43 პირმა, რაზედაც გაიხარჯა 49140 ლარი;

12. ელექტროენერგიის და გაზის საფასურის გადახდის პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 231 ოჯახმა გაიცა 22 515 ლარი;

13. მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯის პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 318 პირმა, რაზედაც გაიცა 31 800 ლარი;

14. სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულოდ საკვების გაცემის პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა 61 158 ლარი;

15. მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა 28 933 ლარი;

16. ხანდაზმულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 12 პირს 3 600 ლარის ოდენობით;

17. უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვლებულთა სარიტუალო ხარჯების გაცემის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეცია 40 ოჯახს, გაია 20 000 ლარი;

18.სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია სოციალური საცხოვრისის მოსახლეობას გაიცა 7 225 ლარი,

19.მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 21 ოჯახს გაიცა 19 053 ლარი;

20. უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინასების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 280 ოჯახს გაიხარჯა 234 146 ლარი;

21. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებაში დაღუპულთა ოჯახის დახმარებისათვის თითოეულ ოჯახზე გაიცა 500 ლარი. სულ გაიხარჯა 1000 ლარი. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარებისათვის გაიცა 500 ლარი ფულადი საჩუქარი სადღესასწაულოდ. ომის ვეტერანთა 5 ოჯახს გაწია დაკრძალვის სარიტუალო ხარჯსთვის დახმარება, გაიხარჯა 2500 ლარი.

22. სტუდენტებსთვის სწავლის საფასურის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სწავლის

საფასურის დაფინანსება გაეწია 14 პირს გაიცა-ჯამში 14000 ლარი.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხაზით

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილების მიერ გამოიცა 60 (სამოცი) ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი: ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ, ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების შესახებ, ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ, მოიჯარის შეცვლის შესახებ და სხვა.

2023 წელს განყოფილებამ განახორციელა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დაურეგისტრირებელი მიწების რეგისტრაცია. მერიის დაკვეთით მომზადდა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

ქონების მართვის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და დამოუკიდებელ აუდიტორულ კომპანიებთან (12 მოთხოვნა ქონების შეფასების შესახებ), მათ მიერ ქონების შეფასების შემდეგ სააუქციონედ მომზადდა მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება (სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შენობ-ნაგებობები). 2023 წელს, ჩვენს მიერ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე “ეაუქტიონ.გე” გამოცხადდა 22 (ოცდაორი) ელექტრონული (პირობებიანი და უპირობო) აუქციონი, იჯარით გაიცა და გასხვისდა (პრივატიზაცია) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება. გაფორმდა სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები (იჯარა, უზუფრუქტი, თხოვება).

<u>დასასრული შემდეგ ნომერში</u>

„ცოცხალი წიგნები“ საგარეჯოში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნები“ - ს ფარგლებში, თანამედროვე ქართველი მწერლების და პოეტების მობილური ჯგუფი საგარეჯოს ესტუმრა.

ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: მანანა ჩიტიშვილი-პოეტი. მარიამ წიკლაური-პოეტი, მთარგმნელი, საბავშვო ავტორი; შალვა ბაკურაძე-პოეტი; დავით რობაქიძე-პოეტი, მთარგმნელი; მანანა დუმბაძე-პროზაიკოსი, მთარგმნელი.

პოეტებმა მკითხველებს თავიანთი შემოქმედება გააცნეს.

ლიტერატურული პროექტი „ცოცხალი წიგნები“ არაერთხელ ყოფილა საგარეჯოს სტუმარი. ამ პროექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდებისთვის, პედაგოგებისთვის, წიგნისმოყვარული ადამიანებისთვის, რომლის მიზანია თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია.

საგარეჯოს სამხატვრო სახელოსნოში

საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული სამხატვრო სახელოსნო (დირექტორი ალექსანდრე ასლანიშვილი), მიმდინარე სასწავლო წლისათვის კეთილმოეწყო. აქ საუკეთესო გარემო შეიქმნა შემოქმედი ბავშვების სწორი მიმართულებით ხატვის შესწავლისათვის.

სამხატვრო სახელოსნოში სწავლება უფასოა.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, რედაქციის თანამშრომელთა უღალატოდ გვერდში მყოფ, 60-იანი წლების საფეხბურთო გუნდ „გარეჯის“ ფეხბურთელს ბიჭიკო სულიკაშვილს.

ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს და დიდხანს სიცოცხლეს!

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“
თანამშრომლები

ჩვენი გარეჯელი ახალგაზრდები

როცა სიყვარულს შენი ფესვების შესწავლიდან იწყებ

ჯერ კიდევ საბავშვო ბაღის აღსაზრდელი იყო – 4 წლის საგარეჯოს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედში“ დაიწყო ცეკვის შესწავლა. ახლაც თბილი ღიმილი ეფინება სახეზე იმ წლების გახსენებისას – როგორ სიხარულით მიისწრაფოდა ეს პატარა ბიჭი, მოკლე ნაბიჯებით ცეკვის გაკვეთილებზე, სადაც მასწავლებლები თინათინ მეზვრიშვილი და გია კუჭუაშვილი ყოველთვის სითბოს და სიყვარულს ახვედრებდნენ ცეკვისმოყვარულ პატარებს. ის ჩოხაც ახსოვს, ის სცენის სუნიც გამოჰყვა – რეპეტიციებისა თუ კონცერტების დროს თავისებურ „ცეცხლს რომ ანთებდნენ“ მაყურებლის წინაშე, მაგრამ რამდენიმე წელია ანსამბლი „იმედი“ აღარ ფუნქციონირებს, გულმა კი აღარსად გაუწია. სამაგიეროდ, აქტიურად ჩაერთო რაიონის ბიბლიოთეკის ღონისძიებებში, პარალელურად მასწავლებელ მარინა ურდულაშვილთან ეზიარა ქართული და უცხოური სიმღერების მადლს... სასკოლო, საინტერესო ცხოვრებაში თავისი წვლილი შეაქვს და დღეს, ***საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელი თემო ჭიაურელი*** საგარეჯოელთათვის საყვარელი, მშობლიურ ქალაქზე უზომოდ შეყვარებული და ყოველივე ქართულის თაყვანისმცემელი უამრავ საბავშვო წრეებშია გაერთიანებული. აღარც კი ახსოვს, როდის მივიდა საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ ბავშვთა სამოყვარულო სამსახიობო წრეზე ნათელა დიღმელაშვილთან, ახლა რეჟისორ ირაკლი კოჭლამაზაშვილის მიერ გამოცხადებულ კონკურსში იღებს მონაწილეობას, როგორც ჩანს, დიდი ხელოვანების – მიხეილ ჭიაურელისა და სოფიკო ჭიაურელის შტოს გამგრძელებლის გენები თემოში უხვადაა გაცხადებული. აინტერესებს თავისი გვარის წარმომავლობა, ჭიაურელების გვარში, წარსულსა და დღევანდელობაში გამოჩენილი ადამიანები. ამიტომაც გადაწყვიტა უფრო ღრმად შეისწავლოს გენეალოგია და სურვილი აქვს მასზე პატარა წიგნი გამოსცეს. შიგ საგარეჯოს პატარა ისტორიის განთავსებასაც ფიქრობს. ისე, ძალიან უყვარს საგარეჯო, რომ მის გარეშე ვერც წარმოუდგენია ერთი დღეც. ახლა გულდაწყვეტილია, ნაყინის ზეიმში თავადაც რომ არ მონაწილეობდა. ნაყინი კი არ აინტერესებდა, სულაც არა, ბავშვები – ბედნიერი, გაღიმებული, გახარებული სახეებით უნდოდა ენახა – ერთმანეთის ნახვით, ერთად ყოფნის დიდი ზეიმი, თორემ იმ დღეს არც ურეკში ეკლდა ნაყინი. თვალებგაბრწყინებული მიამბობს გასული წლის 10 სექტემბრისა და 2023 წლის 9 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის საგარეჯოში ლამაზად აღნიშვნას. საგარეჯოელების სიყვარულზე მიამბობს, იმ სიყვარულზე, ქუჩებში რომ გამოიყვანა ამდენი საგარეჯოელი და არა მარტო საგარეჯოელი, რომ კვლავ ღიმილით, სიხარულით შეახვედრა ერთმანეთს და ტკბილად ჩაახუტა. თან რამდენი სანახაობები, გასართობები იყო, ამასთან, რამდენი ხელოვანი ადამიანი იყო თავიანთი შემოქმედებით წარმოდგენილი. ვინ იცის, რამდენმა ბავშვმა ახლა ნახა, როგორ დუღდება თათარა, როგორ ივლება ჩურჩხელა, როგორ ცხვება თონეში ქართული პური. ხოდა, თემოს და მის მეგობრებს, თანატოლებს ძალიან უნდათ, კიდევ მეტი სანახაობა იყოს, რომ ახლოს გაიცნონ საგარეჯო და საგარეჯოელები. გასულ წელს თემოც იღებდა მონაწილეობას „ქალაქობაში“ თავისი ნახატებით.

ხატვაში ხელი აქვს გაწაფული. მერიის ახალგაზრდული საქმეების სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ნატვრის ხის პერსონაჟები“ მიიღო მონაწილეობა, თავისი ბავშვური თვალით დანახული მარიტა და ფუფალა დახატა, ნაწარმოების სხვა პერსონაჟებიც მოხაზა და როგორც კონკურსში გამარჯვებულს ჟიურიმ 100 ლარი ჯილდო მიანიჭა.

თემოს 10 სხვა ნახატი იმავე სამსახურმა შეიძინა და მასში 100 ლარი გადაუხადა.

რაც შეეხება კონკურსს, მართლაც კმაყოფილი დარჩა, თავისი თავიც გამოსცადა და უფრო სხვა თვალით დაინახა ნატვრის ხის პერსონაჟები.

ხატვით ხატავს ნატურმორტებს, ბუნების პეიზაჟებს, ფერებიდან მოსწონს თეთრი და შავი, უპირატესობას ანიჭებს სადა ნახატებს.

ისე, ფეხბურთზეც დადიოდა. სპორტიდან სწორედ ფეხბურთი უყვარს და მისი ხატება რონალდოა, რადგან ბავშვობიდან, როცა ფეხბურთს უფროსებთან ერთად უყურებდა, რატომღაც რონალდო აირჩია მისაბაძად. აი, ახლა „კვარაც“ ეგრე უყვარს და მით უმეტეს, როგორც ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი საქართველოს.

წლები ემატება, 4 წლიდან ხომ გაიცნო, დაუმეგობრდა თანატოლებსაც და მასზე უფროსებსაც, ახლა უფრო გაფართოვდა სამეგობრო წრე – ქალაქ საგარეჯოს საჯარო სკოლებიდან, სოფლების საჯარო სკოლის მოსწავლეებთან უკვე რამდენიმე წლის მეგობრობა აკავშირებს.

თემო ჭიაურელს, ერთ თითქოს რიგით საგარეჯოელს, უკვე თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი – თუ როგორ, რა დოზით უყვარს თავისი პაწია, კოპწია საგარეჯო, საგარეჯოელები და ხელოვნება...

ყურადღება!

2023 წლის 1 - 3 დეკემბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური გიწვევთ კონფერენციაზე

„ჩემი კუთხის კულტურა და ისტორია“

კონფერენციის მიზანი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებისა და ქალაქ საგარეჯოს ისტორიის, მათი არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ჩართულობა საკუთარი კუთხის შესწავლაში და კულტურის განვითარების პოტენციალის ახლებური გააზრება.

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

კონფერენციაზე იმუშავებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიის სექციები.

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატური მასალები დაიბეჭდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთში „გარეჯის მაცნე“, საუკეთესო მასალები გამოიცემა წიგნად.

ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა 20 ნოემბერი. კონფერენციაში მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

თითოეულ მომხსენებელს დაეთმობა 15 წუთი;

მოხსენება უნდა წარმოადგინონ ნაბეჭდი სახით;

მოხსენებას თან უნდა ერთვოდეს აუდიო/ვიდეო მასალა;

მოხსენებები უნდა გამოიგზავნოს ქვემოთ მითითებულ. ელექტრონულ ფოსტაზე:
kultura.sagarejo@gmail.com

მასალებს განიხილავს მერის ბრძანებით დამტკიცებული კომისია. კონფერენციის ორგანიზატორები:

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

საკონტაქტო პირი:

ნინო ქაიხოსროშვილი ტელ. 599 85 10 91 ***ანი ანუაშვილი*** ტელ. 591 70 12 70.

ჩვენი ნინიკოს კიდევ ერთი წარმატება
კარგია, რომ ბავშვებს ასე უფასებენ მონდომებას

ჩემს ძმიშვილს, ნინო უსტიაშვილს ვულოცავ არაჩვეულებრივი ჯილდოს მიღებას: ***მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა*** იგი წარჩინებული სწავლისთვის პორტაბელური კომპიუტერით დააჯილდოვა.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ანალოგიური ჯილდოს მიღება მივულოცო ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 58 მოსწავლესაც, რომელთაც ეს ნამდვილად დაიმსახურეს.

პროგრამა სახელწოდებით – „ჩემი პირველი კომპიუტერი“, ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, რომლის ერთ-ერთი ქვეპროგრამაა საქართველოს საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლეების პორტაბელური კომპიუტერებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან მოსწავლეები, რომლებიც მიმდინარე წელს ასრულებენ საბაზისო საფეხურს და საფეხურის ნიშანი აქვთ 10 (ათი) ქულა დამრგვალების გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ეს ბავშვები ჩვენი ხვალინდელი დღეა. დადგება დრო, როდესაც ისინი გადაიბარებენ ჩვენს ქვეყანას. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად კარგ განათლებას მიიღებენ, რამდენად მოემზადებიან წლების შემდეგ ქვეყნის გაძღოლისა და მისი წინსვლის უზრუნველსაყოფად.

ხსენებული ჯილდოების გადაცემა უდაოდ ამაღლებს მათ მოტივაციას და აძლევს ძლიერ მუხტს, მომავალშიც განაგრძონ კარგად სწავლა და საკუთარი საქმის მაღალ დონეზე განხორციელება.

არ შემიძლია, მადლობა არ ვუთხრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს, რადგან ისინი მუდმივად დგანან ჩვენი საყვარელი, ნიჭიერი, გონებაგახსნილი და შრომისმოყვარე ბავშვების გვერდით.

მეამაყება, რომ საუკეთესო ძმიშვილები მყავს. სწავლის სიყვარულით, საკუთარ თავზე უწყვეტი მუშაობით, ნიჭიერებით, მაღალი მონდომებითა და მოტივაციით ასახელებენ ოჯახსაც და მშობლიურ სოფელსაც. დაე, მომავალში თავისი რაიონი და ქვეყანაც არაერთხელ ესახელებინოთ. წარმატებებს და უფლის მფარველობას ვუსურვებ თითოეულ მათგანს

სანდრო უსტიაშვილი

27 ოქტომბერი
მასწავლებლის ეროვნული დღეა!

მასწავლებელი , როგორც ერის სამაგალითო და გამორჩეული წარმომადგენელი, ქმნის ძალას და ქვეყნის მომავალს და გაცილებით უფრო მაღალი და გამორჩეულია მისი როლი.

ჩვენთვის სასიხარულოა, რომ 2022-2023 სასწავლო წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში უფრო მეტი წამყვანი და მენტორი მასწავლებელი გვყავს. ამ დღეს, ქალაქ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში სიმბოლურად გამოვხატეთ მათ მიმართ მადლიერება

ვულოცავთ მასწავლებლის ეროვნულ დღეს ყველა მასწავლებელს,

ვუსურვებთ შემდგომ პროფესიულ წინსვლასა და წარმატებებს!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ქართული ჭიდაობა
ჯერ ევროპა, მერე მსოფლიოც იქნება...
ქართულ ჭიდაობაში პირველი ევროპის ჩემპიონატის პირველი გამარჯვებულნი

5-10-იოდე წლის წინ ასეთ რამეს ბევრი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, მაგრამ უკვე ფაქტია – 24 სექტემბერს, საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ქართველებთან ერთად კონტინენტის ოცდახუთზე მეტი ქვეყნის მძიმე წონის მოჭიდავეები იღებდნენ მონაწილეობას, რასაც შესაბამის უწყებებთან ერთად, დიდია იქ მყოფი ქართველი ემიგრანტების წვლილი. როგორც მოსალოდნელიც იყო, ჩემპიონატზე ტოლი არავის დაუდეს და ჩემპიონის ტიტულთან ერთად ყველა საპრიზო ადგილი ქართველმა ფალავნებმა მოიპოვეს. ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი და ჩემპიონი გახდა ჩვენი საჩხერელი მძიმეწონოსანი ონისე ბუღაძე; საბა ინანეიშვილი (ქუთაისი) მეორე პრიზიორისა და ვიცე ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა საქართველოში, ხოლო ***საგარეჯოელი ლევან მატიაშვილი*** ბრინჯაოს პრიზიორის ტიტულით დაემშვიდობა თესალონიკის პირველ ჩემპიონატს ქართულ ჭიდაობაში.

როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, „ნავსი გატყდა“. ქართულმა ჭიდაობამ უკვე გაიკაფა გზა საერთაშორისო ასპარეზზე და ალბათ მალე, უახლოეს მომავალში მსოფლიო ჩემპიონატის მოწმენის გავხდებით.

კარინთის ღია პირველობაზე
შოთა ბაჩოშვილი კვლავ ჩემპიონის კვარცხლბეკზე

ახლახანს სლოვანიაში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში – კარინთის ღია პირველობა (KOROSKA open-2023), რომელშიც სხვა ძიუდოისტებთან ერთად მონაწილეობდა ჩვენი საგარეჯოელი ფალავანი, ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ აღსაზრდელი, წლევანდელი სლოვენიის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული 50 კგ წონით კატეგორიაში **შოთა ბაჩოშვილი**. ეტყობა ჩვენებურმა მოჭიდავემ კარგად დასცადა სლოვენიის ტატამი და არც ამჯერად დაუთმია ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი ახალ 55კგ წონით კატეგორიაში.

გარეჯული ძიუდოს ამომავალ ვარსკვლავს ვულოცავთ მორიგ გამარჯვებას და ვიმედოვნებთ, მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს თავისი სახელოვანი გამარჯვებებით.

გივი დაგახიშვილი

როცა მოტივირებული ხარ...
ჭადრაკის ინტერესით

ჯერ არ შესრულებულა დილის 10 საათი. ქალაქის მერიის კიბეზე ორნი ამოდიან. აშკარად ჩემთან მოსაუბრე, ჭადრაკის მასწავლებელ ირაკლი ქვლივიძეს რაღაცნაირად მოკრძალებულად უღიმიან. გამოვიცანი – ირაკლი მასწავლებლის მოსწავლეები.

– გაიცანით, ეს ბავშვები სოფელ ბურდიანიდან მოდიან, აი, მანავის თემში რომ შედის იმ სოფლიდან, – მაცნობს ირაკლი მასწავლებელი, – ორი წელიწადია, ასე დადიან, საგარეჯოდან საკმაო მანძილითმოშორებული სოფლიდან, მაგრამ ისეთი ენთუზიაზმით დადიან, გაგიკვირდებათ. თანაც, მანავის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, მეორე ცვლაში ეწყებათ გაკვეთილი და დილით აქეთ გამორბიან, – ***ალერსიანად მიყვება პატარა მოჭადრაკეების ამბებს მათი მასწავლებელი და თან საჭადრაკო კლუბისკენ მიგვიძღვის,*** – ნუკამ და იოსებმა საქართველოს ჩემპიონატშიც მიიღეს მონაწილეობა და კახეთის პირველობაზეც. არც ერთს არ ჰქონდა ცუდი შედეგი – ნუკა 8 წლიანებში კახეთის პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდა, საქართველოს ჩემპიონატში – მეექვსე ადგილი დაიკავა. იოსები 5 წლის ასაკიდან თამაშობს და მომავალში ველოდებით კარგ შედეგებს, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა დროს გამართულ თამაშებში.

ჭადრაკის ანბანი, ნუკას და იოსებს მამიკომ – გოგიტა ლოლაძემ ასწავლათ, რომელიც, როგორც საუბრიდან გაირკვა, ერთობ დაინტერესებულია – შვილებმა უფრო მეტი დრო დაუთმონ ჭადრაკის შესწავლას და ამაში თავადაც უწყობს ხელს – არც აგვიანებენ მეცადინეობაზე და არც აცდენენ.

– ჭადრაკი მე თავად 15 წლის წინ შევისწავლე. თბილისში ვცხოვრობდით, რამდენიმე წელია მშობლიურ კერას დავუბრუნდით სოფელ ბურდიანში. ჩემი დისშვილები მე თვითონ დამყავდა ჭადრაკზე პატარა ჩაილურიდან ირაკლი ქვლივიძესთან და ამასობაში მეც შევისწავლე. როგორ გითხრათ, დიდი სურვილი მაქვს, ჩემმა შვილებმა ღრმად შეისწავლონ ჭადრაკი, რადგან სტრატეგიულად და გონებრივად მისაღები სპორტია ქართველებისათვის და არა მარტო ჩვენთვის – ქართველებისათვის. ინტერესით, ახალ-ახალი სვლების შესასწავლად, ხალისით მოდიან ჩემი შვილები. ერთი ეგ არის, სკოლაში ორივე მეორე ცვლაა და ეს ცოტა ხელს გვიშლის – დროის ფაქტორი. პედაგოგები კი, ნუკას დამრიგებელი ანა რცხილაძე და იოსების – ნანა ჩობალაური არანაკლებ გაიხარებენ თავიანთი მოსწავლეების ჭადრაკში მიღწეული წარმატებებით. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს, რას მიაღწევენ, მთავარია შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, ინტერესი – უფრო მეტი იფიქრონ, იაზროვნონ, შეცდომები არ დაუშვან, – მეუბნება გოგიტა.

– როცა მშობელი დაინტერესებულია, ხელს უწყობს შვილს განვითარდეს, შეისწავლოს ჭადრაკი და არ ერიდება კვირაში რამდენიმეჯერ დღეში თუნდაც ორჯერ მოიყვანოს სოფლიდან საგარეჯოში ბავშვები, შენც, როგორც მასწავლებელი, მწვრთნელი, თავს ვალდებულად თვლი, მეტი დრო, მეტი ენერგია მოახმარო ასეთ ბავშვებს. ნუკა და იოსები გარდა მეცადინეობის დღეებისა, ყოველ შაბათს (მათთვის ეს დღე სპეციალურად მე თვითონ გამოვყავი) ჭადრაკზე მოდიან, – **მეუბნება ირაკლი ქვლივიძე –** ასეთ შემთხვევაში, როცა მოსწავლის მოტივაციას გრძნობ, ხელი უნდა შეუწყო, მაქსიმალურად უნდა გაიხარჯო, როგორც მწვრთნელი-მასწავლებელი.

40 წლის იუბილე

საგარეჯოში მოქმედ სახალხო ანსამბლ "ჩინარს" სიყვარულით მიულოცეს

(რეპორტაჟი)

ერთხელ, ყველასთვის საყვარელმა პოეტმა, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა საკუთარ ლექსში მოსწრებულად შენიშნა: "საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი"...

მე კი ვიტყოდი: საქართველოში ასგზის ძნელია, შექმნა ხალხური სიმღერების ანსამბლი, გაუძლო უამრავ გამოწვევას, მოატარო პოსტსაბჭოეთი, ევროპა და აზია, მოაპოვებინო არაერთი წარმატება და ხალხის უდიდესი სიყვარული, იგი აქციო ყოველთვის აქტუალურ გუნდად ეპოქალური ძვრებით გამორჩეულ პერიოდში და ეს ყველაფერი - არც მეტი და არც ნაკლები - 40 წლის განმავლობაში....

ეს ყოველივე შეძლო სიცოცხლეშივე ლეგენდადაქცეულმა ქალბატონმა, ქართული სიმღერის უბადლო შემსრულებელმა და ქართული მელოდიების დაუღალავმა შემკრებმა, ხელოვნების დამსახურებულმა

მუშაკმა, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატმა, ღირსების ორდენის კავალერმა, საპატიო გარეჯელმა, ნელი გულიკაშვილმა!

შეძლო უნიჭიერეს საგარეჯოელ მომღერლებთან და ხელშემწყობ ადამიანებთან ერთად...

სამართლიანობა მოითხოვს, ხელშემწყობ ადამიანებს შორის გამოიყოს საგარეჯოს რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, ბევრი კეთილი და ეროვნული საქმის სულის ჩამდგმელი, ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი. თუმცა, საგარეჯოს დღევანდელი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებიც ცდილობენ, ანსამბლს დაუფასონ ქართული ხელოვნებისა და ჩვენი ქვეყნის პირუთვნელი სამსახური: ჯერ ერთი, 2019 წელს საგარეჯოში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა "ჩინარის" ვარსკვლავის გახსნა; მეორე, მართალია, ანსამბლის დაარსებიდან 40 წელი მერმისს სრულდება, მაგრამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, საიუბილეო საღამო დღეს, 2023 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა.

საღამოს უშუალო ორგანიზატორი გახლდათ საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება. უნდა ითქვას, რომ გაერთიანების ხელმძღვანელმა ბესიკ ღვინაშვილმა და მისმა გუნდმა არაჩვეულებრივად გაართვეს თავი დასახულ მიზანს.

ვინ იცის, რამდენ მსგავს ღონისძიებას დავსწრებივარ. გულზე ხელს დავიდებ და ისე ვიტყვი:

იშვიათად თუ მინახავს ასეთი - უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი გაჯერებული, ბრწყინვალე საღამო.....

იდეალურად დაგეგმილი და ორგანიზებული ღონისძიება, რომელიც ანსამბლზე გადაღებული დოკუმენტური ფილმით დაიწყო, დასაწყისში სულ რამდენიმე წუთით შეფერხდა: მიზეზი რომ გაიგო დამსწრე საზოგადოებამ, სასიამოვნო გაოცება ტაშით გამოხატა - როგორ გაირკვა, საღამოს წამყვანს, ცნობილ პედაგოგს, მწერალს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების დაუღალავ შემკრებს, არაერთი კეთილი საქმის მოთავეს და ანსამბლ "ჩინარის" დიდი ხნის მეგობარს, ლეილა არჩემაშვილს ექიმებმა დღეს გადასხმა დაუნიშნეს. ლეილა არ დაემორჩილა ექიმებს, - ჩემს ჩინარელებს როგორ ვუღალატებო, - ეთქვა, მოვიდა, გაგვახარა და კლასიკურად, მაღალპროფესიულად და თავისი ალალი ემოციურობით წარმართა მთელი საღამო.

"ჩინარზე" ლეილა არჩემაშვილზე უკეთ და უფრო მეტს ვინ მოუთხრობდა ანსამბლის შემოქმედების გულშემატკივრებს და დამფასებელს. ანსამბლის შესახებ ხომ არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული პრესაში. მან საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მოგვაწოდა ანსამბლის მიერ განვლილ

გამორჩეულ და სახელოვან გზაზე, იმაზე, თუ ზედიზედ როგორ იპყრობდა მათ მიერ შესრულებული სიმღერები პოსტაბჭოთა რესპუბლიკების, ევროპისა და აზიის ქვეყნების პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებს, ქალბატონ ნელი გულიკაშვილის ხელმძღვანელობით რა საქველმოქმედო და კეთილი საქმეები აქვს

გაკეთებული "ჩინარს"...

სიტყვაში გამოსვლებს "ჩინარის" მომღერლების მიერ საოცრად შესრულებული მელოდიები ენაცვლებოდა და უფრო აძლიერებდა პოზიტიურ ემოციურ მუხტს.

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ "ჩინარს" დაახლოებით 30 წლიანი უთბილესი მეგობრობა აკავშირებს თელავში მოქმედ ასევე ცნობილ ამსამბლ "წინანდალთან". გურამ ურჩუხაშვილმა და მისმა მეგობრებმა მეფე ერეკლეს ახლადშესრულებული პორტრეტითა და ულამაზესი ხალხური სიმღერით მიულოცეს ჩინარელებს იუბილე.

საღამო უდაოდ დაამშვენა საგარეჯოელებისა და თბილისიდან ჩამობრძანებული საპატიო სტუმრების გამოსვლებმა. დაუვიწყარ მოგონებებს ლექსები ცვლიდა.

ამ განუმეორებელ წუთებს მეტი ემოცია შემატა ყველასთვის საყვარელი ანსამბლის, "ბერიკაცების" ომახიანმა სიმღერამ.

ანსამბლს იუბილე გულთბილად მიულოცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, ალექსი გილაშვილმა. მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ნელი გულიკაშვილსა და "ჩინარის" წევრებს.

როგორც ლამაზად და სიმბოლურად დაიწყო ეს მართლაც ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიება, ისევე არაჩვეულებრივი ბოლო აკორდი ჰქონდა: "წინანდალმა" და "ბერიკაცებმა" ერთად, ქართული ძარღვიანობით დააგუგუნეს "მრავალჟამიერი".

მინდა გამოვხატო მადლიერება, რომ მომეცა სიტყვაში გამოსვლისა და საკუთარი ლექსის წაკითხვის საშუალება, რომელსაც აქ გთავაზობთ:

ქალბატონ ნელი გულიკაშვილს!

თუ აღმაფრენა კვდება
და ყოფა ხდება ძნელი,
მე მახსენდება მყისვე
გულიკაშვილი ნელი.
რამდენ სირთულეს სძლია,
სულ აქვს მხნეობა ძველი.
არ დაცემულა მუხლზე
გულიკაშვილი ნელი.
თუ ცა გულცივი ხდება,
ქრება მზის სხივი მწველი,
გაჩუქებს ულევ სითბოს
გულიკაშვილი ნელი.
გხვდება, გინათებს სულს და
მისგან სულ დიმილს ელი.
არისტოკრატი ნაღდი -
გულიკაშვილი ნელი.
სიმღერის დედოფალი,
კარგ მომღერალთა მზრდელი.
მშვენება მთელი ქვეყნის -
გულიკაშვილი ნელი.

ხალხური მელოდიის
და ქართულ ჰანგის მცველი,
უფლის დიდ მადლით სავსე -
გულიკაშვილი ნელი.
თქვენი სახელი ბრწყინავს,
შუქით მარცხდება ბნელი.
მსურს, მოგიხაროთ ქედი,
გულიკაშვილო ნელი.

დიდი მადლობა და უდიდესი წარმატებები "ჩინარს", რომელიც ჩვენი ქვეყნის საგანძური და სიამაყეა!!!

სანდრო უსტიაშვილი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე"-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს"-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com